მოწოდება დემოკრატიის დასაცავად

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია საფრთხეს უქმნის არამარტო ადამიანთა სიცოცხლესა და საარსებო წყაროს მთელს მსოფლიოში. ის ასევე წარმოადგენს პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც საფრთხეს უქმნის ლიბერალური დემოკრატიის მომავალს.

გასაკვირი არ არის, რომ ავტორიტარული რეჟიმები არსებულ კრიზისს იყენებენ კრიტიკოსების გასაჩუმებლად და მათი პოლიტიკური ძალაუფლების გასაძლიერებლად. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობაც კი პანდემიას ებრძვის საგანგებო უფლებამოსილებების ჭარბი გამოყენებით, რომლებიც ზღუდვენ ადამიანის უფლებებს და აძლიერებენ სახელმწიფო თვალთვალს სამართლებრივი შეზღუდვების, საპარლამენტო ზედამხედველობისა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ვადების დაცვის გარეშე. პარლამენტებს გვერდს უვლიან, ჟურნალისტებს აპატიმრებენ და ავიწროებენ, უმცირესობებს უყენებენ უსაფუძვლო ბრალდებებს, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი სექტორები კი საგანგაშო ახალი საფრთხის წინაშე დგანან, რადგან ეკონომიკური შეზღუდვები აზიანებს საზოგადოების ყველა ფენას ყველგან.

რეპრესიები პანდემიის კონტროლს არ უწყობს ხელს. თავისუფალი სიტყვის გაჩუმებას, მშვიდობიანი დისიდენტების ციხეში ჩასმას, საკანონმდებლო ზედამხედველობის ჩახშობასა და არჩევნების განუსაზღვრელი ვადით გაუქმებას არაფერი აქვთ საერთო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასთან. პირიქით, შეტევები თავისუფლებაზე, გამჭვირვალეობასა და დემოკრატიაზე ხელს უშლის საზოგადოებებს სწრაფად და ეფექტურად უპასუხონ კრიზისს როგორც სამთავრობო, ისე სამოქალაქო ქმედებებით.

შემთხვევითი არ არის, რომ ამჟამინდელი პანდემია დაიწყო ქვეყანაში, სადაც ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი შეფერხებულია და სადაც მთავრობამ დასაჯა ის ადამიანები, რომლებიც ვირუსის საშიშროების შესახებ საუბრობდნენ - მათი გაფრთხილებები აღიქმებოდა როგორც ჭორები, რომლებიც საზიანო იყო ქვეყნის პრესტიჟისთვის. როდესაც ხდება პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ხმის ჩახშობა, შედეგები შესაძლოა სასიკვდილო იყოს არა მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

დემოკრატია არ არის მხოლოდ სანუკვარი იდეალი. ეს არის მმართველობის სისტემა, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება COVID-19-ის მასშტაბისა და სირთულის კრიზისის მართვას. ავტორიტარული პროპაგანდის საპირისპიროდ, სანდო და თავისუფალი ინფორმაციის ნაკადები, ფაქტებზე დაფუძნებული დებატები პოლიტიკის შესახებ, სამოქალაქო საზოგადოების ნებაყოფლობითი თვითორგანიზაცია და მთავრობისა და საზოგადოების ღია ჩართულობა სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტივს წარმოადგენს პანდემიასთან საბრძოლველად. და ისინი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ.

მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით შეძლებენ საზოგადოებები ჩამოაყალიბონ სოციალური ნდობა, რაც მათ საშუალებას მისცემს გაუძლონ კრიზისს, შეინარჩუნონ ეროვნული მდგრადობა სირთულეების და გაჭირვების მიმართ, უმკურნალონ ღრმა

სოციალურ განხეთქილებებს ინკლუზიური ჩართულობისა და დიალოგის გზით, და შეინარჩუნონ იმის რწმენა, რომ მოხდება ზიანის გაზიარება და ყველა მოქალაქის უფლებების დაცვა.

მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით შეძლებს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება, მათ შორის ქალები და ახალგაზრდები, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან პარტნიორობით დაეხმაროს მოქალაქეებს მომსახურებების და ინფორმაციის მიღებაში და გააძლიეროს სოციალური მორალისა და საერთო მიზნის შეგრძნება.

მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით შეძლებს თავისუფალი მედია შეასრულოს ხალხის ინფორმირების ფუნქცია იმგვარად, რომ მათ შეძლონ მტკიცე გადაწყვეტილებების მიღება პირად თუ ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებით, ზედამხედველობა გაუწიონ მთავრობასა და საჯარო ინსტიტუტებს, და დაუპირისპირდნენ დეზინფორმაციას, რომელიც მიმართულია საზოგადოების გახლეჩვისაკენ.

მხოლოდ დემოკრატიის საშუალებით შეუძლია საზოგადოებას დაიცვას მტკიცე ბალანსი საჭიროებებსა და პრიორიტეტებს შორის - ვირუსის გავრცელებასთან ბრძოლასა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას შორის; ეფექტური ანტი-კრიზისული ნაბიჯების გადადგმასა და ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას შორის, კონსტიტუციური ნორმებისა და გარანტიების შესაბამისად.

მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებებში შეძლებს კანონის უზენაესობა დაიცვას ინდივიდუალური თავისუფლებები სახელმწიფო ჩარევისა და შეზღუდვებისგან იმ აუცილებლობის მიღმა, რაც საჭიროა პანდემიასთან საბრძოლველად.

მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებებში შეუძლია საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების სისტემებს განახორციელონ საგანგებო უფლებამოსილებების მონიტორინგი და შეზღუდონ ან შეწყვეტონ მათი გამოყენება ამგვარი აუცილებლობის ჩავლის შემდეგ.

მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებებში შეიძლება იყოს სანდო მთავრობის მონაცემები პანდემიის მასშტაბებისა და შედეგების შესახებ.

დემოკრატია არ წარმოადგენს კომპეტენტური ხელმძღვანელობისა და ეფექტური მმართველობის გარანტიას. მართალია, ძირითადად დემოკრატიულმა ქვეყნებმა მოახერხეს ყველაზე ეფექტურად ბრძოლა ვირუსის წინააღმდეგ, თუმცა ზოგიერთმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ არაეფექტურად უპასუხა პანდემიას და საკმაოდ მაღალი ფასის გადახდა მოუხდა ადამიანის სიცოცხლისა და ეკონომიკური უსაფრთხოების სახით. სუსტი დემოკრატია კიდევ უფრო მეტად ასუსტებს საზოგადოებას და ქმნის ავტორიტარიზმის განვითარების საფრთხეს.

მაგრამ დემოკრატიის უდიდესი სიძლიერე საკუთარი შესაძლებლობების განვითარების უნარში მდგომარეობს. COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი წარმოადგენს განგაშის ზარს, სასწრაფო გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ თავისუფლებები, რომლითაც

ჩვენ ვსარგებლობთ, რისკის ქვეშ დგას და ჩვენ უნდა ვიზრონოთ მათზე. დემოკრატიის საშუალებით, მოქალაქეებსა და მათ არჩეულ ლიდერებს შეუძლიათ ისწავლონ და განვითარდნენ და ეს არასოდეს ყოფილა ისე მნიშვნელოვანი როგორც ახლა.

ამჟამინდელი პანდემია წარმოადგენს დემოკრატიის სერიოზულ გლობალურ გამოწვევას. მთელ მსოფლიოში ავტორიტარული რეჟიმები COVID-19-ის კრიზისს უყურებენ როგორც ახალ პოლიტიკურ ბრძოლის ველს დემოკრატიის შესასუსტებლად და ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიღწეული დრამატული შედეგების აღმოსაფხვრელად. დემოკრატია საფრთხის ქვეშ დგას და იმ ადამიანებმა, რომლებიც მასზე ზრუნავენ, უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ნება, დისციპლინა და სოლიდარობა მის დასაცავად. ადამიანთა თავისუფლება, ჯანმრთელობა და ღირსება საფრთხეშია ყველგან.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ხელი მოაწერა წინამდებარე ღია წერილს დემოკრატიის დასაცავად.